ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს №63 სხდომის ოქმი

2012 წლის 14 აგვისტო ქ. თბილისი

დღის წესრიგი:

1. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ჟურნალისტიკის მიმართულებით სრული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე რექტორის 2012 წლის 29 მაისის №02-966 ბრძანებით გამოცხადებულ კონკურსზე შემოსული განცხადებების (ხათუნა მაისაშვილი, ოლეგ პანფილოვი) განხილვა და გამარჯვებულის გამოვლენა;
2. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე რექტორის 2012 წლის 29 მაისის №02-965 ბრძანებით გამოცხადებულ კონკურსზე ანალიზური ფილოსოფიის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე შემოსული განცხადებების (თამარ ცხადაძე, თეიმურაზ ბუაძე), სამედიცინო რადიოლოგიის მიმართულებით სრული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე შემოსული განცხადების (მიხეილ ოკუჯავა), შინაგანი მედიცინის მიმართულებით სრული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე შემოსული განცხადების (მიხეილ წვერავა), ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე შემოსული განცხადების (მარინე კიკვიძე) და ეკონომიკის მიმართულებით სრული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე შემოსული განცხადების (დიმიტრი ჯაფარიძე) განხილვა და გამარჯვებულის გამოვლენა;
3. ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის მიხეილ ბატიაშვილის 27.06.12№02-6277/12 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით 2 ასოცირებული პროფესორისა და 7 ასისტენტ-პროფესორის ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
4. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ დაფუძნებული ააიპ მეტაბოლური გენეტიკის თბილისის ინსტიტუტის (205292182) ლიკვიდაციის დასრულების საკითხის ცნობად მიღება;
5. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის 2012-2013 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის მობილობით მისაღები სტუდენტების (551 სტუდენტი) რაოდენობის შესახებ ინფორმაციის ცნობად მიღება;

6. საინჟინრო ფაკულტეტის დეკანის, ზურაბ ჯავახიშვილის 13.08.12№02-7908 წარდგინების განხილვა საინჟინრო ფაკულტეტზე არქეოლოგიის მიმართულებით სრული პროფესორის, ასტრონომიის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის, ატმოსფერო-იონოსფეროს, ფიზიკის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ და გადაწყვეტილების მიღება;
7. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის მოლეკულური ნეირობიოლოგიის მიმართულების დოქტორანტის, თამარ ბასიშვილისათვის სადისერტაციო საბჭოს შექმნისა და რეცენზენტების საკითხის განხილვა და დამტკიცება;
8. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის განათლების ფსიქოლოგიის მიმართულების დოქტორანტის, ნანა ბერეკაშვილისათვის სადისერტაციო საბჭოსა და რეცენზენტების დანიშვნის საკითხის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება;
9. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის კერძო მეთოდიკების მიმართულების დოქტორანტის, რუსუდან გოგოხიასათვის სადისერტაციო საბჭოსა და რეცენზენტების დანიშვნის საკითხის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება;
10. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე მოლეკულური ბიოქიმიის მიმართულებით სრული პროფესორის, ნეიროფიზიოლოგიის მიმართულებით სრული პროფესორის, კავკასიოლოგიის მიმართულებით სრული პროფესორის, სოციალური სამუშაოს მიმართულებით ასოცირებული პროფესორის, გერმანისტიკის მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის, რომანისტიკის მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის, აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადება;
11. საქართველოს ხალხური ცხენოსნობის ეროვნული ფედერაციის განცხადების განხილვა;
12. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სამეცნიერო პერიოდული გამოცემისათვის „ქრისტიანულ - არქეოლოგიური ძიებანი“ უნივერსიტეტის ლოგოს მინიჭების საკითხის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება;
13. ამერიკის შეერთებულ შტატებში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განვითარებისათვის კერძო სამართლის იურიდიული პირის დაფუძნების საკითხის განხილვა და ასევე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ააიპ საქართველოს ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ცენტრის დაფუძნებაში მონაწილეობის მიღების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

14. 2010 წლის აკადემიური საბჭოს 43-ე სხდომის ოქმით დამტკიცებული „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულების“ გაუქმება და მის ნაცვლად ამავე სახელწოდების დებულების ახალი რედაქციის დამტკიცება;
15. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის მიერ წარმოდგენილი მოდიფიცირებული საბაკალავრო პროგრამის - „ხელოვნება: მუსიკა“ განხილვა და დამტკიცება.

სხდომას ესწრებოდნენ:

1. გიგი თევზაძე – საბჭოს თავმჯდომარე;
2. დავით აფრასიძე - სხდომის მდივანი;
3. მაია როგავა;
4. მარინე ჩხიკვიშვილი;
5. მიხეილ ელაშვილი.

2012 წლის 14 აგვისტო აკადემიური საბჭოს სხდომაზე დადგინდა:

1. დამტკიცდეს - მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე რექტორის 2012წლის 29 მაისის №02-966 ბრძანებით გამოცხადებულ კონკურსში ჟურნალისტიკის მიმართულებით სრული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე გამარჯვებულად გამოვლინდეს ოლეგ პანფილოვი და კონტრაქტი გაუფორმდეს 3 წლის ვადით;

2. დამტკიცდეს - მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე რექტორის 2012 წლის 29 მაისის 02-965 ბრძანებით გამოცხადებულ კონკურსში ანალიზური ფილოსოფიის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე გამარჯვებულად გამოვლინდეს თამარ ცხადაძე, რადიოლოგიის მიმართულებით სრული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე გამარჯვებულად გამოვლინდეს მიხეილ ოკუჯავა, შინაგანი მედიცინის მიმართულებით სრული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე - მიხეილ წვერავა, ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე გამარჯვებულად

გამოვლინდეს მარინე კიკვიძე, ეკონომიკის მიმართულებით სრული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე გამარჯვებულად გამოვლინდეს დიმიტრი ჯაფარიძე და კონტრაქტი გაუფორმდეს 3 წლის ვადით;

3. დამტკიცდეს - ***გამოცხადდეს ღია კონკურსი*** ბიზნესის ფაკულტეტისათვის ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით 2 ასოცირებული პროფესორისა და 7 ასისტენტ-პროფესორის ვაკანტურ თანამდებობაზე;
4. დამტკიცდეს - ლიკვიდირებულ იქნეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ დაფუძნებული ააიპ მეტაბოლური გენეტიკის თბილისის ინსტიტუტი (205292182), ლიკვიდაციის დასრულების საკითხის მოგვარება დაევალოს იურიდიული სამსახურის უფროსს, დალი ცქიტიშვილს;
5. დამტკიცდეს - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის 2012-2013 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის მობილობით მისაღები სტუდენტების რაოდენობა განისაზღვროს 551 სტუდენტით;
6. დადგინდეს - გამოცხადდეს ღია კონკურსი საინჟინრო ფაკულტეტზე არქეოლოგიის მიმართულებით 1 სრული პროფესორის, ასტრონომიის მიმართულებით 1 ასოცირებული პროფესორის, ატმოსფერო-იონოსფეროს, ფიზიკის მიმართულებით 1 ასოცირებული პროფესორის ვაკანტურ თანამდებობებზე და დაევალოს ადამიანური რესურსების სამსახურს კონკურსის შესახებ შესაბამისი დოკუმენტების მომზადება. შემოსული განცხადებები განიხილოს და გამარჯვებული გამოავლინოს საინჟინრო ფაკულტეტის საბჭომ;
7. დამტკიცდეს - მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის მოლეკულური ნეირობიოლოგიის მიმართულების დოქტორანტის, თამარ ბასიშვილის სადოქტორო ნაშრომისათვის შეიქმნას სადისერტაციო საბჭო შემდეგი შემადგენლობით: რევაზ სოლომონია - სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე (სრული პროფესორი), დავით მიქელაძე - სრული პროფესორი, მზია ჟვანია - ასოცირებული პროფესორი, ნატო დარჩია - ასოცირებული პროფესორი, იასონ ბადრიძე - პროფესორ-ემერიტუსი, რეცენზენტების შემადგენლობა კი განისაზღვროს შემდეგი შემადგენლობით: ლალი შაწშიაშვილი - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი და ელენე აბზიანიძე - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სრული პროფესორი;
8. დამტკიცდეს - მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის განათლების ფსიქოლოგიის მიმართულების დოქტორანტის, ნანა ბერეკაშვილის სადისერტაციო ნაშრომისათვის შეიქმნას სადისერტაციო საბჭო შემდეგი შემადგენლობით: რევაზ კორინთელი (სრული პროფესორი) - სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, ქეთევან მაყაშვილი - სრული პროფესორი, დარეჯან კახიანი - სრული პროფესორი, ხოლო რეცენზენტები განისაზღვრონ შემდეგი შემადგენლობით: მზია წერეთელი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი რუსუდან მირცხულავა;

9. დამტკიცდეს - მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის კერძო მეთოდიკების მიმართულების დოქტორანტის, რუსუდან გოგოხიას სადისერტაციო ნაშრომისათვის შეიქმნას სადისერტაციო საბჭო შემდეგი შემადგენლობით: სოფიკო ლობჟანიძე, ასოცირებული პროფესორი - სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, ნათელა მაღლაკელიძე - ასოცირებული პროფესორი, რევაზ კორინთელი - სრული პროფესორი, დავით მალაზონია - სრული პროფესორი, თამარ ტალიაშვილი - ასოცირებული პროფესორი, ხოლო რეცენზენტები განისაზღვრონ შემდეგი შემადგენლობით: ეკატერინე შავერდაშვილი - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი და ნათელა დოგონაძე - სრული პროფესორი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი;

10. დადგინდეს - გამოცხადდეს ღია კონკურსი მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე შემდეგი მიმართულებებისათვის: მოლეკულური ბიოქიმიის მიმართულებით 1 სრული პროფესორის თანამდებობაზე, ნეიროფიზიოლოგიის მიმართულებით 1 სრული პროფესორის თანამდებობაზე, კავკასიოლოგიის მიმართულებით 1 სრული პროფესორის თანამდებობაზე, სოციალური სამუშაოს მიმართულებით 1 ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე, გერმანისტიკის მიმართულებით 1 ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე, რომანისტიკის მიმართულებით 1 ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე, აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულებით 1 ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე, დაევალოს ადამიანური რესურსების განყოფილებას კონკურსის გამოცხადებისთვის ღონისძიებების გატარება, შემოსული განცხადებები განიხილოს და გამარჯვებული გამოავლინოს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის საბჭომ.

11. **დადგინდეს** - ვინაიდან უნივერსიტეტი დაინტერესებულია და ახორციელებს სხვადასხვა პროექტებს ცხენოსნობის განვითარების კუთხით, სამეცნიერო-კვლევითი მიზნებიდან გამომდინარე, დაევალოს ადმინისტრაციას, გამოყოს 2500 ლარი საქართველოს ხალხური ცხენოსნობის ფედერაციის მიერ დაგეგმილი ღონისძიებისათვის;
12. **დადგინდეს** - ვინაიდან არქეოლოგიის მიმართულება გადავიდა საინჟინრო ფაკულტეტზე, დაუბრუნდეს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს სამეცნიერო პერიოდული გამოცემა „ქრისტიანულ - არქეოლოგიური ძიებანი“, აღნიშნული გამოცემა განიხილოს საინჟინრო ფაკულტეტმა და მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტმა ერთობლივად, რის შემდგომაც იმსჯელებს აკადემიური საბჭო ლოგოს მინიჭების საკითხზე;
13. **დადგინდეს** - დაფუძნდეს ამერიკის შეერთებულ შტატებში კერძო სამართლის იურიდიული პირი (შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება) ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განვითარების მხარდასაჭერად, ვინიდან ა.შ.შ კანონმდებლობით, იმისათვის, რომ დაფუძნდეს არამომგებიანი არაკომერციული იურიდიული პირი, ჯერ საჭიროა დაფუძნდეს შეზღუდული პასუხისმგებლობის

საზოგადოება, რომელიც შემდგომ რეფორმირდება არასამეწარმეო არაკომერციულ იურიდიულ პირად. აღნიშნულზე თანხმობა ეთხოვოს წარმომადგენლობით საბჭოს;

14. დადგინდეს - მიიღოს მონაწილეობა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრისა და საქართველოში არსებული უნივერსიტეტების მიერ ინიცირებული „საქართველოს ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ცენტრის“ დაფუძნებაში. ცენტრის სახელწოდება შესაძლოა შეიცვალოს, რაც აისახება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებულ სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში;

15. **დამტკიცდეს** - გაუქმდეს 2010 წლის აკადემიური საბჭოს 43-ე სხდომის ოქმით დამტკიცებული „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება“ და მის ნაცვლად დამტკიცდეს ამავე სახელწოდების დებულების ახალი რედაქცია;

16. **დადგინდეს** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 14.08.12№03-9631/12 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, უარი ეთქვას მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს მოდიფიცირებული საბაკალავრო პროგრამის „ხელოვნება:მუსიკა“ დამტკიცებაზე ხარვეზების გამო. დაევალოს ფაკულტეტს, ხარვეზების გასწორების შემდგომ წარმოადგინოს მოდიფიცირებული პროგრამა დასამტკიცებლად.

საბჭოს თავმჯდომარე

გიგი თევზაძე

საბჭოს მდივანი

დავით აფრასიძე